ფიბერსეილერები ჭრიან მინაბოჭკოებს ადგილზე და დაიტანენ მას ზედაპირზე 5 გ/მ² დოზირებით 4 კმ/სთ სიჩქარით. ბოჭკოების განივი გაშლა წარმოებს ისე, რომ ზედაპირი თანაბრად დაიფაროს. ფიბერსეილერი თანაბრად დაიტანს ბოჭკოებს ბიტუმის ემულსიის ორ ფენას შორის. შემკვრელის და მინაბოჭკოს დოზირება წარმოებს მაღალი სიზუსტით და იმართება კომპიუტერით. გრძივად მინაბოჭკოების დაჭრა ხდება სპეციალური დანების დახმარებით.

ტექნოლოგია ფიბ-სილი წარმოადგენს ალტერნატივას ნაპრალების ამოვსების სამუშაოებში გეოსინთეტიკური მასალებით, ამ შემთხვევაში მინაბოჭკოს დახმარებით [12].



ნახ.14. ფიბ სილით მოწყობილი საფარი

ვ) ფოგ სილი - ესაა სპეციალური შემადგენლობის ბიტუმის ემულსიის დატანის ტექნოლოგია არსებულ ზედაპირზე თხელ ფენად, ჯაგრისებით დამუშავებით, ეწყობა საფარზე, რომელზეც გვხვდება ფორიანი ზედაპირი და მასალების ამოფხვანა [14].



ნახ.15. ფოგ სილით მოწყობილი საფარი

ზ) სკრაბ სილი - წარმოადგენს ფოგ-სილის ტიპის ზედაპირული დამუშავების ტექნოლოგიას, ქვიშის გაშლით, ეწყობა საფარზე, რომელზეც დაზიანებულია ქვის მასალა ან არსებობს ბადისებრი ტიპის ნაპრალები [12].



ნახ.16. სკრაბ სილით მოწყობილი საფარი

თ) მაკ სილი - არის ზედაპირის ხორკლიანი დამუშავება, რომელიც ასევე მზადდება ბიტუმ მულტიგრეიდის გამოყენებით. ბიტუმი არ კარგავს პლასტიურობას დაბალ (ზამთრის) ტემპერატურაზე, ასევე არ ხდება დენადი და ინარჩუნებს ელასტიურობას მაღალ (ზაფხულის) ტემპერატურაზე. მულტიგრეიდ ბიტუმის ეს თვისებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და გამოსადეგია მკაცრი კონტინენტური კლიმატის მქონე ქვეყნებში [15].



ნახ.17. მაკ სილით მოწყობილი საფარი

ი) ნოვაჩიპი - საფარის საცვეთი ფენის მოწყობის პრინციპი შემდეგია – არსებული საფარის ფენაზე დაიტანება ბიტუმის ემულსია (60% ბიტუმი, 40% წყალი), შემდეგ კი მცირე შუალედით იგება 2.5 სმ-იანი ცხელი (160°C) მოდიფიცირებული ასფალტბეტონის ნარევი. აღნიშნული ტიპის საფარს ჯერჯერობით იყენებს რუსული სამშენებლო კომპანია გპ “ბელდორნია” (ГП “БЕЛДОРНИЯ”). ამ

ტექნოლოგიითაა მოწყობილი ეკატერინბურგი-რეჟი-ალაპაევსკის საავტომობილო გზის საფარი [16].



ნახ.18. ნოვაჩიპით საფარის მოწყობა ეკატერინბურგი-რეჟი-ალაპაევსკის გზაზე

ქვემოთ მოცემულია აღნიშნული ტექნოლოგიით მოწყობილი საფარებით გაუმჯობესებული მაჩვენებლების ხარისხობრივი ცხრილი.

	ზედაპირის შეუღწევადობა და ხორკლიანობა
	ერთეული ფენა: ± 14 მმ
	ორმაგი ფენა 0/4 : 5-6 კგ/მ ³
	პროფილის აღდგენის 1 ფენა : <2 სმ
	შეუღწევადობა, ხორკლიანობა + პროფილის აღდგენა

ნახ.19. ხარისხობრივი მაჩვენებლების ცხრილი

დღევანდელ პირობებში მოძველებული მეთოდების გამოყენება ზედაპირული დამუშავებისათვის უკვე არახელსაყრელია. იმისათვის, რომ გავზარდოთ საგზაო სამოსის კაპიტალურ შეკეთებებს შორის ინტერვალი და ავამაღლოთ მისი სამსახურის ვადა, აუცილებელი და ხელსაყრელია გამოვიყენოთ ზემოთ ხსენებული მეთოდები, რომლებიც ამაღლებს საფარის თვისებებს. აღნიშნული მეთოდები

ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს მასშტაბით, მაგალითად 2016 წლიდან დღემდე რუსეთში მსგავსი ტექნოლოგიით დამუშავდა დაახლ. 5000 კმ-მდე გზა, აშშ-ში ეს მეთოდები აპრობირებულია და ყველაზე ხშირად გამოიყენება.

ამრიგად, ახალი ტექნოლოგიები - „სლარი სილი“ და „სლარი სილის“ ტიპის ნარევი ფართოდ უნდა დაინერგოს საავტ. გზების მშენებლობაში, მათი ხელსაყრელი ღირებულებებისა და მოწყობის სიმარტივის გამო.

ჩვენს მიერ ლაბორატორიულ პირობებში მოხდა რამოდენიმე ტიპის ნარევის გამოცდა სხვადასხვა მახასიათებელზე, დადგინდა ნარევის ოპტიმალური შემადგენლობა და შედარებული იქნა ფინანსური მაჩვენებლები. ცდების ამსახველი მაჩვენებლები მოცემულია 2 თავში.

1.4. ტრადიციული ზედაპირული დამუშავების ზოგადი ანალიზი და გამოყენების სფეროები

ზედაპირული დამუშავება გამოიყენება:

- როგორც პროფილაქტიკური ფენა, რომელიც ფარავს და იცავს გზის ზედაპირის ძირითად სტრუქტურულ ფენებს ცუდ ამინდში ნაადრევი დაშლისაგან;
- ან როგორც საცვეთი ფენა, რომელიც ექვემდებარება გაცვეთას ავტომობილების მოძრაობის შედეგად, რაც მაქსიმალურად იცავს გზის სტრუქტურას. ასეთ ფენას მხოლოდ პერიოდული შეკეთება ესაჭიროება საგზაო კონსტრუქციის პირვანდელი თვისებების აღსადგენად;
- როგორც საფარის ზედა ფენა გაზრდილი ხორკლიანობის მახასიათებლებით, რომელიც უზრუნველყოფს ავტომობილის თვლისა და ასფალტის საფარის კარგ შეჭიდულობას, დაცვას ზედაპირული წყლებისაგან და წყალთბური რეჟიმის შემთხვევაში.
- ტექნიკური უპირატესობების გარდა, ზედაპირულ დამუშავებას აქვს საკმაოდ კონკურენტუნარიანი ღირებულება ახალი საგზაო საფარის მოწყობასთან შედარებით.
- ზედაპირული დამუშავებისას ძირითადად გამოიყენება ფრაქციული დამსხვრეული ქვის მასალა სხვადასხვა ორგანულ შემკვრელებთან (მათ შორის ემულგატორებთან) ერთად.

იმისათვის, რომ ვაწარმოთ ზედაპირული დამუშავება, რომელიც დააკმაყოფილებს მოთხოვნებს, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას შემდეგი ძირითადი პირობები:

- გამოყენებული შემკვრელი უნდა ხასიათდებოდეს ქვის მასალასთან კარგი მიკვრის უნარით. ამ კავშირს ეწოდება „შემკვრელი-საფუძველის“ წყვილი;

- ქვის მასალა კარგად უნდა იყოს შეკავშირებული როგორც ერთმანეთთან, ასევე საგზაო კონსტრუქციასთან. ამ ურთიერთქმედებას ეწოდება წყვილი "შემკვრელი - ქვის მასალა";

- შემკვრელის რაოდენობა იმ თანაფარდობით უნდა იქნას გამოყენებული, რომ მთლიანად დაფაროს ქვის მასალა და უზრუნველყოს საფარზე არსებული ყველა მიკრობზარის ამოვსება. ეს არის შემკვრელისა და ქვის მასალის განაწილების ძირითადი მოთხოვნა;

- ქვის მასალა უნდა იყოს გასუფთავებული, ჰქონდეს მაღალი ფიზიკური და მექანიკური თვისებები (სიმტკიცე, ყინვაგამძლეობა, ცვეთამდეგობა და ა.შ.), ჰქონდეს გარკვეული ფორმები და ზომები. ეს არის ქვის მასალის ძირითადი მოთხოვნები;

- ქვის მასალა არ უნდა იყოს გადაჭარბებული იმ ზღვრულ რაოდენობას, რაც საკმარისია ზედაპირის სტრუქტურის შესაქმნელად. ამით თავიდან იქნება აცილებული მისი მოშორების აუცილებლობა. ეს არის ქვის მასალის დოზირებისა და განაწილების მოთხოვნა;

- თითოეულმა ქვამ უნდა დაიკავოს ყველაზე ხელსაყრელი პოზიცია რათა ერთობლიობაში შეიქმნას მტკიცე ხორკლიანი ზედაპირის მქონე ფენა. ეს არის დატკეპნის ძირითადი მოთხოვნა;

ეს არის ის ძირითადი მოთხოვნები, რაც აუცილებელია ზედაპირული დამუშავების მაღალი ხარისხით უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, არსებობს დამატებითი მოთხოვნები:

- ზედაპირული დამუშავებისათვის საჭირო ყველა სამუშაო უნდა ჩატარდეს მაქსიმალურად ხელსაყრელ ამინდში. ეს არის სამუშაოს შესრულების ვადების მოთხოვნა;

- სამუშაოების დაწყებამდე უნდა განხორციელდეს ყველა ის ძირითადი საკითხი, რომელიც დაკავშირებულია მასალების მიწოდებასთან, ტექნიკისა და აღჭურვილობის მომზადებასთან. ეს არის სამუშაოთა ორგანიზების მოთხოვნა;

- მუშაობის პროცესში მკაცრად უნდა იყოს დაცული სამუშაოს წარმოების ტექნოლოგიის მოთხოვნები და გამოყენებული მასალების ხარისხი. ეს არის ხარისხის კონტროლის ორგანიზაციის მოთხოვნა.

ზედაპირული დამუშავება დამტკრეული ქვის გამოყენებით ძირითადად ეწყობა გზების იმ მონაკვეთებზე, რომლებიც ხასიათდებიან სახიფათო და რთული სატრანსპორტო პირობებით.

საფარის ტიპისა და მდგომარეობის მიხედვით, ზედაპირის დამუშავება არახისტ საგზაო საფარებზე ზედაპირული დამუშავება შეიძლება იყოს ერთმაგი ან ორმაგი; ხოლო რაც შეეხება ხისტ საგზაო საფარებს - უნდა იყოს მხოლოდ ორმაგი.

ზედაპირული დამუშავების ფენა იღებს დატვირთვებს ავტომობილებისაგან და გადასცემს საგზაო კონსტრუქციის ქვედა ფენებს, ის გამოიყენება როგორც საცვეთი ფენა და უზრუნველყოფს შეჭიდულობას საფარსა და ავტომობილის თვლებს შორის.

ქვის მასალის შესაბამისობა შემკვრელის მიმართ განისაზღვრება ლაბორატორიულ პირობებში შეკვრის სიმტკიცეზე ტესტირებით.

ქვის მასალის ფორმა უნდა იყოს მაქსიმალურად წახნაგოვანი, რათა უზრუნველყოფილ იქნას მარცვლებს შორის კარგი შეჭიდება. ღორღი ბრტყელი ან წაგრძელებული სახით მყიფეა და არ გამოირჩევა კარგი სიმტკიცითა და ზედაპირთან მიკვრის უნარით. ასევე იგი უნდა გამოირჩეოდეს სისუფთავით, რადგან თიხის არსებობა, თუნდაც ძალიან დაბალი რაოდენობით, ძალზედ არასასურველია: თიხა უკიდურესად ჰიდროფილურია და წყალთან ურთიერთქმედებისას ხდება მისი გაჯირჯება, რაც არღვევს შემკვრელსა და დამსხვრეული ქვის მასალას შორის კავშირს.

დამსხვრეული ქვის სწორად შერჩეული ფორმა და ზომა ქმნის ზედაპირის ხორკლიანობას ზედაპირული დამუშავებისას, უზრუნველყოფს მანქანაში ხმაურის შემცირებას.

მნიშვნელოვანია დამსხვრეული ქვის ზომის არჩევა. დადგენილია, რომ 10-15 და 15-20 მმ-ის დატეხილი ქვის ზომები იწვევს საკმაოდ მაღალ ხმაურს მანქანის

სალონში. ამის საფუძველზე უპირატესობა ენიჭება დამსხვრეული ქვით ზედაპირულ დამუშავებას 5-10 მმ ფრაქციებით.

ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც გასათვალისწინებელია ზედაპირული დამუშავების ფენის მოწყობის დროს არის ის, რომ ქვის მასალა იყოს იმ ზომის, რაც გამორიცხავს მანქანების საქარე მინების გატეხვის შესაძლებლობას, რომლის ამოცვენაც ხდება მანქანის ბორბლების საშუალებით მაღალი სიჩქარით მოძრაობისას. წვრილმარცვლოვანი ქვის მასალის გამოყენება ამ პრობლემას თითქმის მთლიანად წყვეტს.

დამსხვრეული ქვის ფრაქციის არჩევა ხდება გზის ზედაპირის სიხისტის მიხედვით.

1. ერთმაგი ზედაპირული დამუშავება შემკვრელისა და დამსხვრეული ქვის ერთმაგი განაწილებით გამოიყენება დასაშვები სიმტკიცით ხორკლიანი და საცვეთი ფენის შესაქმნელად. ეს არის ხორკლიანი ზედაპირული დამუშავების ყველაზე გავრცელებული მეთოდი და ყველაზე შესაფერისი ყველანაირი ტრანსპორტის მოძრაობისათვის. ყველაზე ხშირად, იგი მოწყობილია 5-10 მმ ფრაქციის დამსხვრეული ქვისგან.

2. ზედაპირული დამუშავება დამსხვრეული ქვის ორმაგი განაწილებით ხორციელდება შემდეგნაირად - საგზაო საფარზე ხდება ბიტუმის მოსხმა, შემდეგ მასზე გაიშლება 10-20 მმ ქვის მასალა, ხდება მისი დატკეპნა და ხორციელდება წვრილმარცვლოვანი 5-10 მმ ფრაქციის გაშლა და დატკეპნა. ეს ტექნოლოგია ძირითადად გამოიყენება მაღალი ინტენსივობისა და მაღალი სიჩქარით სამომდროეობებზე. აღნიშნული ტექნოლოგია ასევე აუმჯობესებს საფარის სიმტკიცეს და გამორიცხავს ბზარებსა და დეფორმაციებს, ასევე უკეთ ანაწილებს მანქანის ბორბლიდან გადაცემულ დატვირთვებს.

3. გარდა ერთმაგი ზედაპირული დამუშავებისა, ფართოდ გამოიყენება ორმაგი ზედაპირული დამუშავება, რომელიც ითვალისწინებს ჯერ ერთი ფენის, ხოლო შემდეგ მასზე მეორე ფენის მოწყობას. მისი მსგავსი ტექნოლოგიაა „სენდვიჩის“ ტიპის ზედაპირული დამუშავება. იგი გამოიყენება მეორეხარისხოვანი, ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე.

ზედაპირული დამუშავებისას გამოყენებული ემულსიის ტემპერატურა და კონცენტრაცია დგინდება ამინდის პირობებიდან გამომდინარე. ჰაერის 20°C-ზე

დაბალ ტემპერატურაზე რეკომენდებულია ემულსიის გამოყენება 40-50°C ტემპერატურით და ბიტუმის კონცენტრაციით 55-60%. ემულსიის გათბობა მითითებულ ტემპერატურამდე უნდა განხორციელდეს უშუალოდ ასფალტის შემრევში სამუშაო ადგილზე ტრანსპორტირებისას. 20°C-ზე ზემოთ ჰაერის ტემპერატურაზე ემულსია გამოიყენება ცივად და ბიტუმის კონცენტრაცია შეიძლება შემცირდეს 50%-მდე.

დამსხვრეული ქვის განაწილება უნდა მოხდეს ავტოგუდრონატორიდან არაუმეტეს 20 მ დაშორებით.

ბიტუმის ემულსიებით ზედაპირის დამუშავება ხორციელდება ისევე, როგორც ბიტუმით. ემულსიების გამოყენებისას მანქანების მოძრაობა იხსნება სამუშაოს დასრულებიდან არა უადრეს 1 დღისა.

ტრადიციული მეთოდებით ზედაპირული დამუშავების შემთხვევაში, შემკვრელის განაწილებასა და დამსხვრეული ქვის გაფანტვას შორის დროის სხვაობა შემოიფარგლება ცხელი ბიტუმის გაგრილების დროით და შეიძლება მიაღწიოს 1 საათს.

შემკვრელისა და დამსხვრეული ქვის სინქრონული განაწილებით, ამ ოპერაციებს შორის შუალედი არ აღემატება 1 წამს, რაც მნიშვნელოვნად აისახება ზედაპირული დამუშავების ხარისხზე, შემკვრელად როგორც ბიტუმის, ასევე ბიტუმის ემულსიის გამოყენებისას.

ცხელი ბიტუმის შემკვრელად გამოყენებისას ხარისხის გაუმჯობესება აიხსნება იმით, რომ ასეთ მოკლე დროში ბიტუმს არ აქვს გაციების დრო და ინარჩუნებს სითხის კონსისტენციას და მაღალ წებოვან უნარს. შედეგად, ბიტუმი კარგად აღწევს დამსხვრეული ქვის და საფარის მიკროფორებში, ფარავს თითოეულ ღორღის ნატებს, რომელიც მყარად ეკვრის ერთმანეთს და საგზაო საფარს.

დაგებული ფენის დატკეპნა ასევე ხორციელდება იმ დროში, სანამ ბიტუმი გაცივდება, რაც უზრუნველყოფს მაქსიმალურ დატკეპნის ეფექტს.

შემკვრელად ბიტუმის ემულსიის გამოყენებისას, ზედაპირული დამუშავების მაღალი ხარისხი შემკვრელისა და დამსხვრეული ქვის სინქრონული განაწილებით აიხსნება იმით, რომ ასეთ მოკლე დროში დაიწყება ემულსიის გაშლა და მისი თხევადი მდგომარეობა შეავსებს დატეხილი ქვის და საფარის ყველა მიკროფორას,

დაფარავს თითოეულ დაქუცმაცებულ ქვას შემკვრელის თხელი ფენით და საშუალებას მისცემს ზედაპირული დამუშავების ფენის კარგ დატკეპნას.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მაღალი ხარისხის ზედაპირულმა დამუშავებამ შემკვრელისა და დამსხვრეული ქვის სინქრონული განაწილებით შეიძლება მიაღწიოს გასაოცარ შედეგებს, როდესაც დატეხილი ქვის და შემკვრელის თხელი ფენა გაუძლებს მანქანის ბორბლების ძლიერ ზემოქმედებას 10-15 წლის განმავლობაში. ამრიგად, შემკვრელისა და დატეხილი ქვის სინქრონული განაწილება 1 წამის დაყოვნებით არის ყველაზე მნიშვნელოვანი ზედაპირული დამუშავების პრაქტიკაში.

2. შედეგები და განსჯა


2.1. ცვეთის გამომწვევი მიზეზების კვლევა და მათი ზოგადი ანალიზი

ასფალტბეტონის საფარებში ძირითადად გვხვდება ორი სახის ცვეთის პროცესი - ესაა ცვეთა, რომელიც წარმოდგენილია ზაფხულის ერთ სეზონამდე დატკეპნით და გაზრდილი ცვეთით და ცვეთა, რომელიც ხასიათდება მშრალ მდგომარეობაში დაზიანებით. ყველაზე თვალსაჩინოდ ეს ეფექტი წარმოგვიდგება მაშინ, როდესაც გზაზე ჩანს გამოკვეთილი საბურავის კვალი, რაც გამოწვეულია კონკრეტულ ერთ ადგილებზე გადაცემული ბორბლის დატვირთვისაგან. ცვეთის მონაცემების შესახებ ზუსტი შედეგების მიღება ფაქტობრივად შეუძლებელია მისი ცვალებადობის დიდი შუალედის გამო და ამიტომ მხოლოდ ლაბორატორიულად მიღებული შედეგებით და შემდგომ მისი გადამოწმებით შეგვიძლია შედეგებზე მსჯელობა.

საავტომობილო გზებზე სამოსის კონსტრუქციის შემუშავებისას დიდი მნიშვნელობა აქვს მის სწორად დანიშვნას და მშენებლობის პროცესში შემადგენელი მასალების მეთოდურად და სწორად შერევას ლაბორატორიული კვლევებით დადგენილი რაოდენობებით. როგორც ზემოთ, ლიტერატურულ ნაწილშია მოცემული ჩვენი ქვეყნის გზების მაგალითების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქვეყნის ქსელის ძირითადი ნაწილი, რომელიც უკვე საკმაოდ ხანია ექსპლუატაციაშია, ვეღარ უზრუნველყოფს გაზრდილი სიჩქარეების და ნაკადების ფონზე მასზე მოსული დატვირთვების მიღებას და გამოდის მწყობრიდან. ყოველივე ამას ემატება საფარის სისწორის დარღვევა, რაც კიდევ ერთი ხელშემწყობი ფაქტორია ცვეთის დაჩქარებისათვის.

ჩვენი დაკვირვებებით და მრავალწლიანი გამოცდილებით საქართველოს გზების პირობებში ყველაზე მეტად მწყობრიდან გამოდის საავტომობილო გზების ქსელის ის მონაკვეთები, სადაც დიდი ქანობი, ხშირი გაჩერებები და მთაგორიანი რელიეფია. ამ ადგილებში საფარის მწყობრიდან გამოსვლას ხელს უწყობს დამუხრუჭების და დამვრის ძალების უარყოფითი ზეგავლენა. ამ ფაქტორების გამოძახილია საფარებზე ბადისებრი, განივი და გრძივი ბზარები. რაც მეტად იზრდება ბზარები საფარზე, მით უფრო მეტად მცირდება უსაფრთხოდ

გადაადგილების შანსები და იზრდება მოვლა-შენახვის სამუშაოების ღირებულება. ამის გადასაწყვეტად საჭიროა მივიღოთ ისეთი ტიპის საცვეთი ფენა, რომელიც რამდენადმე გააუმჯობესებს არსებული საფარების მდგომარეობას და მაქსიმალურად გაზრდის კაპიტალურ რემონტებს შორის ვადებს, ამავდროულად იქნება ეკოლოგიურად უსაფრთხო და ეკონომიური. ამისათვის ჩვენს მიერ შემოთავაზებულია “სლარი სილის” ტიპის ნარევები.




ნახ. 20. საფარის მოვლა ჩვეულებრივი ექსპლუატაციის პირობებში

პრაქტიკა, რაც დანერგილია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, გვიჩვენებს რომ “სლარი სილის” გამოყენებისას მნიშვნელოვნად უმჯობესდება ყველა ის საექსპლუატაციო მაჩვენებელი, რასაც არსებული საფარი კარგავს დროთა განმავლობაში - იზრდება შეჭიდულობის კოეფიციენტი, რაც თავისთავად უსაფრთხო გადაადგილების გარანტიაა; იზრდება კაპიტალურ რემონტებს შორის ვადები, რაც ფინანსურად საკმაოდ მომგებიანი პროცესია; გაზრდილი საექსპლუატაციო ვადის ხარჯზე მცირდება ბიტუმის გამოყენების საჭიროება - ეს კი ეკოლოგიურად გარემოს გაუმჯობესების კუთხით უკეთესი შედეგია.

ზემოთ მოყვანილი ადგილმდებარეობის და კლიმატური პირობების თავისებურებიდან გამომდინარე საცვეთ ფენებში მიზანშეწონილია ღორღის მასალის ფრაქციის ზრდა ან შემცირება.

საქართველოს მასშტაბით „სლარი სილი“ გამოყენებული იქნა 2006 წელს შპს „დ და გ“-ს მიერ გერმანულ კომპანიებთან ერთად ქ. თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. აღნიშნულმა ტექნოლოგიამ წარმატებით იმუშავა და მხოლოდ 2019-2020 წლებში მოხდა მარჯვენა სანაპიროს კაპიტალური რემონტი. თუმცა ამის შემდეგ საქართველოში ჯერჯერობით მსგავსი მეთოდით საფარის შეკეთება აღარ განხორციელებულა.

ზემოთ მოყვანილ გარემოებებზე დაყრდნობით, შეგვიძლია გრაფიკის სახით წარმოვადგინოთ დაახლოებითი ფარდობა საფარის დაზიანებიდან მისი პრევენციის, ზედაპირული დამუშავების და კაპიტალურ რემონტთან ურთიერთდამოკიდებულებით.



ნახ. 21. დროული ზედაპირული დამუშავების ფაქტორი

2.2. “სლარი სილის” ნარევის კომპონენტების შემადგენლობების კვლევა და ლაბორატორიული ანალიზი

როგორც წესი, “სლარი სილის” ნარევი მზადდება ღორღის, წყლის (მინარეების გარეშე), პორტლანდ ცემენტის, ემულსიის (ან მოდიფიცირებული ბიტუმის), ბოჭკოებისა და ლატექსის დანამატების ერთმანეთში შერევით.

ჩვენს მიერ ლაბორატორიაში ჩატარებული იქნა კვლევები, “სლარი სილის” ნარევის ოპტიმალური შემადგენლობის განსასაზღვრად. ნარევის შემადგენლობის შერჩევას აპრობირებული პორტლანდ ცემენტის მაგივრად ასევე გამოყენებული იქნა სხვადასხვა სახის შემკვრელები.

ნარევის ოპტიმალური შემადგენლობების მისაღებად ცდების დაწყებამდე ცალკეული მასალები გამოიცადა ლაბორატორიულ პირობებში.

#1. ღორღი

ნიმუშისათვის გამოიცადა სამი სხვადასხვა კარიერიდან აღებული ღორღის მასალა - „იორის“, „ქსანის“ და „სააკამის“ კარიერებიდან.

ცვეთასთან ერთად ღორღზე ჩატარდა შემდეგი ლაბორატორიული კვლევები:

- ცვეთის განსაზღვრა ლოს ანჯელესის დანადგარზე
- ღორღის მსხვრევალობის მაჩვენებლის განსაზღვრა (სიმტკიცე წნეხზე)
- ნემსისებრი და ფირფიტისებრი მარცვლების შემცველობა
- დამტვრეული ნაწილაკების შემცველობა ღორღში
- მტვრისებრი და თიხისებრი ნაწილაკების შემცველობა
- წყალშთანთქმა
- ადჰეზიურობა

ცვეთაზე ცდის მიმდინარეობა შემდეგია (ცდის სტანდარტი ГОСТ 8269.0-97 (4.10) - ნიმუშს ავწონით, ვცრით, ვყრით ლოს ანჯელესის დანადგარში და ვცდით 500 ბრუნზე. შემდეგ დანადგარში დარჩენილ ნიმუშს ვწონით და ქვემოთ მოცემული ფორმულით ვანგარიშობთ ცვეთას:

$$\text{ცვეთა} = \frac{m - m_1}{m} * 100 \%$$

სადაც,

m – ნარევის თავდაპირველი მასაა, გრ

m_1 - ცდის დასრულების შემდეგ საცერზე დარჩენილი მასა, გრ.

ნიმუშის საწყის მასად აღებულია 5000 გრ.

#1 - ქსნის კარიერი


$$\text{ცვეთა} = \frac{m - m_1}{m} * 100 \% = \frac{5000 - 4300}{5000} * 100 \% = 14\%$$

#2 - სააკაძეს კარიერი

$$\text{ცვეთა} = \frac{m - m_1}{m} * 100 \% = \frac{5000 - 4400}{5000} * 100 \% = 12\%$$

#3 - იორის კარიერი

$$\text{ცვეთა} = \frac{m - m_1}{m} * 100 \% = \frac{5000 - 4350}{5000} * 100 \% = 13\%$$



ნახ.22. ცვეთა ლოს-ანჯელესის დანადგარზე ცვეთის მაჩვენებლები

მსხვერვაზე ცდის მიმდინარეობა შემდეგია (ცდის სტანდარტი ГОСТ 8269.0-97 (4.8) - ნიმუშს აწვონით, ვერით, სპეციალური 150 მმ დიამეტრის ცილინდრში ვერით ღორღს, ხოლო შემდეგ მას აწვება წნეხი, რომელზეც თანდათანობით ვზრდით დატვირთვას და ვაღწევთ მაქსიმალურ 200 კნ-ს. ამის შემდეგ დამსხვრეული ღორღი გავცერთ საცერზე და ქვემოთ მოცემული ფორმულით ვიანგარიშეთ ცვეთა:

$$\text{მსხვერვალობა} = \frac{m - m_1}{m} * 100 \%$$

სადაც,

m – ნარევის თავდაპირველი მასაა, გრ

m_1 - ცდის დასრულების შემდეგ საცერზე დარჩენილი მასა, გრ.

ნიმუშის საწყის მასად აღებულია 5000 გრ.

#1 - ქსნის კარიერი


$$\text{მსხვერვალობა} = \frac{m - m_1}{m} * 100 \% = \frac{5000 - 4450}{5000} * 100 \% = 11\%$$

#2 - სააკაძეს კარიერი

$$\text{მსხვერვალობა} = \frac{m - m_1}{m} * 100 \% = \frac{5000 - 4550}{5000} * 100 \% = 9\%$$

#3 - იორის კარიერი

$$\text{მსხვერვალობა} = \frac{m - m_1}{m} * 100 \% = \frac{5000 - 4500}{5000} * 100 \% = 10\%$$



ნახ.23. სიმტკიცე წნეზე გამოცდის შედეგები

ნემსისებრი და ფირფიტისებრი მაჩვენებლების განსაზღვრისათვის (ცდის სტანდარტი ГОСТ 8269.0-97 (4.7) ნიმუშის საერთო რაოდენობიდან (თავდაპირველად განსაზღვრული მასა) ამოვარჩიეთ მარცვლები, რომელთა სიგრძე 3-ზე მეტჯერ აღემატება დანარჩენის სიგანესა და სისქეს, შემდეგ კვლავ ავწონეთ დარჩენილი ნიმუშის მასა და პროცენტულობა ვიანგარიშეთ ფორმულით:

$$P = \frac{m_2}{m_1} * 100 \%$$

სადაც

m_2 - ნიმუშის საბოლოო მასა, გრ

m_1 - ნიმუშის საწყისი მასა, გრ

ნიმუშის საწყის მასად აღებულია 100 გრ.

1 - ქსნის კარიერი


$$P = \frac{m_2}{m_1} * 100 \% = \frac{9}{100} * 100 \% = 9\%$$

#2 - სააკაძეს კარიერი

$$P = \frac{m_2}{m_1} * 100 \% = \frac{7}{100} * 100 \% = 7\%$$


#3 - იორის კარიერი

$$P = \frac{m_2}{m_1} * 100 \% = \frac{9}{100} * 100 \% = 9\%$$



ნახ.24. ნემსისებრი და ფირფიტისებრი მარცვლების შემცველობა

დამტკრეული ნაწილაკების შემცველობა (ცდის სტანდარტი ГОСТ 8269.0-97 (4.4) განვსაზღვრეთ ვიზუალური შეფასებით - ვითვლით თუ რამდენი მხარე აქვს ჩამოტეხილი ღორღის მარცვლებს და პროცენტულად ვაფასებთ მსხვრევადობას.



ნახ.25. დამტვრეული ნაწილაკების შემცველობა

მტვრისებრი და თიხისებრი ნაწილაკების შემცველობა (ცდის სტანდარტი ГОСТ 8269.0-97 (4.5.1) განვსაზღვრეთ გარეცხვის მეთოდით. სპეციალურ ჭურჭელში ვათავსებთ წინასწარ აწონილ ნიმუშს და ვრეცხავთ იქამდე, სანამ წყალი არ გახდება გამჭვირვალე. შემდეგ ვწონით ყალიბში დარჩენილი ნიმუშის მასას და ვანგარიშობთ შემცველობას შემდეგი ფორმულით:

$$B = \frac{m - m_1}{m} * 100 \%$$

სადაც,

m – ნარევის თავდაპირველი მასაა, გრ

m_1 - ცდის დასრულების შემდეგ საცერზე დარჩენილი მასა, გრ.

ნიმუშის საწყის მასად აღებულია 500 გრ.

#1 - ქსნის კარიერი


$$B = \frac{m - m_1}{m} * 100 \% = \frac{500 - 498}{500} * 100 \% = 0.4\%$$

#2 - სააკაძეს კარიერი

$$B = \frac{m - m_1}{m} * 100 \% = \frac{500 - 499}{500} * 100 \% = 0.2\%$$

#3 - იორის კარიერი

$$B = \frac{m - m_1}{m} * 100 \% = \frac{500 - 498}{500} * 100 \% = 0.4\%$$



ნახ.26. მტვრისებრი და თიხისებრი ნაწილაკების შემცველობა

ლორლის წყალშთანთქმა განვსაზღვრეთ EN 1097-6 მიხედვით. პიკნომეტრში ვათავსებთ 2 კგ ლორლს $22^{\circ}\text{C}\pm 3$ ტემპერატურის წყალში 24 საათის განმავლობაში. შემდეგ გამოვდევნით ზედმეტ ჰაერს შენჯღრევის გზით, ვავსებთ პიკნომეტრს და ვივსებთ სიმკვრივეს. ამის შემდეგ ლორლის მარცვლებს გადმოვყრით ტენიან ნაჭერზე და მარცვლების ზედაპირზე შევამშრალეებთ ზედმეტ წყალს. შემდგომ გაჟღენთილი ლორლის მარცვლებს ვწონით და ვიმახსოვრებთ. ლორლს ვაშრობთ მუდმივ ტემპერატურამდე ღუმელში და კვლავ ვწონით. წყალშთანთქმა გამოვთვალეთ ფორმულით:

$$B = \frac{m_1 - m_2}{m_2} * 100 \%$$

სადაც,

m_1 – ტენიანი ნიმუშის მასა, გრ

m_2 – გამომშრალი ნიმუშის მასა, გრ.

#1 - ქსნის კარიერი


$$B = \frac{m_1 - m_2}{m_2} * 100 \% = \frac{2003 - 1995}{1995} * 100 \% = 0.4\%$$

#2 - სააკაძეს კარიერი

$$B = \frac{m_1 - m_2}{m_2} * 100 \% = \frac{2002 - 1998}{1998} * 100 \% = 0.2\%$$

#3 - იორის კარიერი

$$B = \frac{m_1 - m_2}{m_2} * 100 \% = \frac{2004 - 1996}{1996} * 100 \% = 0.4\%$$



ნახ.27. წყალშთანთქმის მაჩვენებელი

ღორდის ადჰეზიურობა ფასდება ვიზუალურად. გაცხელებულ ბიტუმში ამოვავლებთ ღორდის მარცვლებს და სპეციალური ცხაურებიანი საშრობის გამოყენებით ვაცხელებთ ლუმელში. შემდეგ კი შევაფასეთ ვიზუალურად რამდენად დაფარულია ღორდის ზედაპირი.



ნახ.28. ღორდის ადჰეზიურობის შეფასება



ნახ.29. ღორღის სიმტკიცის გამოცდა წნეხზე


ცდის შედეგების მიხედვით დადგინდა, რომ ყველაზე კარგი შედეგი გამოამჟღავნა „სააკაძის“ კარიერიდან აღებული მასალამ, ამიტომ ცდების გასაგრძელებლად ვარგისია მხოლოდ #2 ნიმუში.

საცდელი მასალის გრანულომეტრიული შემადგენლობა (ღორღი ფრაქციით 5-15 მმ) მოცემულია ცხრილში. მაჩვენებლების მიხედვით აიგო გრანულომეტრის გრაფიკი.

ღორღის მასალის გრანულომეტრიული ცხრილი.

ცხრილი 1.

მინერალური მასალის გრანულომეტრია	
საცრის ზომები, მმ	დასაშვები ზღვრები
	საცერში გასული %
15,0	100,0
10,0	37,3
5,0	0,5
<5	



ნახ. 30. გრანულომეტრიის გრაფიკი


#2. ბიტუმი

კვლევის ფარგლებში გამოიცადა 3 სახეობის ბიტუმი -

- ბიტუმი БНД 60/90
- ბიტუმი БНД 60/90, მოდიფიცირებული ბუნებრივი ბიტუმით
- ბიტუმი БНД 60/90, მოდიფიცირებული მოდიფიკატორ SBS-ის გამოყენებით


ბიტუმის ძირითად თვისებებს წარმოადგენს პენეტრაცია (ნემსის შეღწევა), დუქტილუბა (წელვადობა) და დარბილების ტემპერატურა. ცდები ჩატარდა აღნიშნული თვისებების განსაზღვრისათვის.

ბიტუმის პენეტრაცია (ცდის სტანდარტი ГОСТ 11501-78) - ბიტუმის პენეტრაცია განვსაზღვრეთ ნემსის შეღწევის მაჩვენებლის მიხედვით, პენეტრომეტრის გამოყენებით. სტანდარტული ნემსი 5 წმ-ის განმავლობაში შეიღწევა ბიტუმში, რომლის ტემპერატურა იყო 25°C. ცდის შედეგები მოცემულია გრაფიკის სახით. პენეტრაციისას 1°C არის 0,1 მმ-ის ანალოგი.




ნახ.31. ბიტუმის პენეტრაცია 0,1 მმ-ზე

ბიტუმის დარბილების ტემპერატურა (ცდის სტანდარტი ГОСТ 11506-73)- ბიტუმის გამოყენებისას საგზაო საფარებში დარბილების ტემპერატურა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რადგან როგორც გარემოს ძლიერ დაბალი, ისე ძლიერ მაღალი ტემპერატურისას ბიტუმი ვეღარ ინარჩუნებს იმ თვისებებს, რაც საჭიროა ფენილის სიმტკიცის უზრუნველსაყოფად. დარბილების ტემპერატურა განვსაზღვრეთ ბურთულა და რგოლის გამოყენებით. დარბილების ტემპერატურას წარმოადგენს ტემპერატურის ის მაჩვენებელი, როდესაც ბურთულა საკუთარი წონით გაძვრება რგოლში და მოხვდება დანადგარის ქვედა განყოფილებაში.




ნახ.32. ბიტუმის დარბილების ტემპერატურის მაჩვენებლები

ბიტუმის დუქტილუბა (ცდის სტანდარტი ГОСТ 11505-75) - განვსაზღვრეთ რვიანის ფორმის ნიმუშის სპეციალურ ხელსაწყოზე (დუქტილომეტრზე) გაჭიმვის გზით. ცდა შეწყდა მაშინ, როდესაც ნიმუში შუაში გაწყდა.



ნახ.33. ბიტუმის დუქტილუბის მაჩვენებლები

ბიტუმის სიმციფე (ცდის სტანდარტი ГОСТ 11507-78) - განვსაზღვრეთ ფრასის ხელსაწყოს გამოყენებით.



ნახ.34. ბიტუმის სიმციფის მაჩვენებლები

ცდების გასაგრძელებლად გამოვიყენეთ საუკეთესო მაჩვენებლის მქონე SBS-ით მოდიფიცირებული ბიტუმი.

#3. მინერალური მასალები - შემავსებელი

შემავსებლის დამატება უმნიშვნელოვანეს ეფექტს გვაძლევს როგორც შერევის დროსა და დატანის პროცესზე, ასევე სუსპენზიის ხარისხზე. ჩვეულებრივ, შემავსებლად იყენებენ პორტლანდცემენტს, ასევე შეიძლება გამოყენებული იქნას ცემენტის სხვა სახეობები და ჩამქრალი კირი.

ძალიან მნიშვნელოვანია შეფასდეს დანამატის გავლენა შერევის პროცესზე. იგი დამოკიდებულია დანამატის შერჩევაზე და კონცენტრაციაზე.

ჩვენს მიერ ჩატარებული ცდების დროს შემავსებლად გამოყენებულია ცემენტი M400, დოროსოლი, დოროპორტი და კირი. აღნიშნული მასალების მახასიათებლებისათვის დამატებითი ლაბორატორიული ცდები არ ჩატარებულა, რადგან ისინი უკვე გამოცდილია მწარმოებელი კომპანიების მიერ და არსებობს შესაბამისობის სერტიფიკატი.



ნახ. 35. შემავსებლის ტიპები

ა) ცემენტი; ბ) კირი; გ) დოროსოლი; დ) დოროპორტი

წყალი

ნარევიში გამოყენებულია წყალი მინერალურად სუფთა, რათა მასში მყოფმა ჭარბმა მარილებმა ან სხვა მინარევეებმა გავლენა არ მოახდინოს ნარევის შეკვრის დროზე.

ლატექსი

ლატექსი გამოიყენება 30°C ტემპ-რის დიაპაზონში. ლატექსის გამოყენება ამდლებს კოჰეზიურობას, ამდლებს ძვრის მედეგობას, ზრდის შეჭიდულობას და ამცირებს მასალების დამველებს სიჩქარეს.



ნახ.36. თხევადი ლატექსი

ბოჭკოები

ბოჭკოების გამოყენება სლარის ტიპის ნარევებში გვამდლევს უფრო მადალ შეჭიდულობას და მედეგობას. სტრუქტურისა და სიმტკიცის ზღვარის გაუმჯობესება გაჭიმვისას შესამდლებელია გაუმჯობესდეს პოლიპროპილენისა და სხვა ბოჭკოების დამატებით. ცდის ჩატარებისას გამოყენებულია პოლიპროპილენის ბოჭკო.



ნახ.37. პოლიპროპილენის ბოჭკო

2.3. სლარი სილის ნარევის ოპტიმალური შემადგენლობის კვლევა ლაბორატორიულ პირობებში

ნარევის ოპტიმალური სისქეების განსაზღვრისათვის ლაბორატორიულ პირობებში ჩატარდა ცდების ციკლი, რაც მოიცავდა “სლარი სილი” ნარევის დამზადებას სხვადასხვა მინერალური მასალის პროცენტული რაოდენობებით. რადგან ლაბორატორიულად ნიმუშების დამზადება ძლიერ რთული და შრომატევადი პროცესია, რაც გამოწვეულია იმით, რომ ოპტიმალური ნიმუშების დამზადებამდე საჭიროა ათეულობით ნიმუშის გამოცდა, ცხრილებში მოცემულია მხოლოდ ის პროცენტული მაჩვენებლები, საიდანაც ნარევი დაიწყო ფორმირება იქამდე, სანამ ზედმეტ სიმყიფეს არ მიაღწია და მსხვრევა არ დაიწყო.

ლაბორატორიული კვლევა #1.

ნარევი 1 შემთხვევაში ცდების ჩატარებისას შეკვრა დაიწყო M400 მარკის ცემენტის 0,5% გამოყენებით. შემდეგ თანდათან მოვუმატეთ რაოდენობა და შევჩერდით 3%-ზე.

ნარევი 1-ის შემადგენლობა.

ცხრილი 2.

ნარევი	ღორღი	წყალი	პორტლანდ ცემენტი	SBS მოდიფიცირებული ბიტუმი	ბოჭკო	ლატექსის დანამატი
1	100%	9%	0,5 %	12%	0,3	2%
			1 %			
			2 %			
			3 %			

მიუხედავად იმისა, რომ ოთხივე ნარევი ცვეთამდეგობის მხრივ საკმაოდ კარგი შედეგები გვაჩვენა, 2 % ცემენტის რაოდენობა არის ის ოპტიმალური ზღვარი, რაც საშუალებას გვაძლევს ბუნებრივ პირობებში მივაღწიოთ იდეალურ შედეგებს. შემავსებლის რაოდენობის ზრდა იწვევს ნარევის გამყიფებას, რაც თავის მხრივ, მსხვრევადობას იწვევს ნარევიტ დამზადებული ძელაკების გამოცდისას.

ლაბორატორიული კვლევა #2.

ნარევი 2 შემთხვევაში ცდები ჩატარდა ანალოგიურად. ამჯერად ნარევი ცემენტის მაგივრად გამოყენებულია ჰიდრავლიკური შემკვრელი დოროსოლი. ნარევი შეკვრა დაიწყო 3%-დან და 5%-ის შემდეგ დაიწყო გამციფება.

ნარევი 2-ის შემადგენლობა.

ცხრილი 3.

ნარევი	ღორღი	წყალი	დოროსოლი	SBS	ბოჭკო	ლათექსის დანამატი
				მოდIFIცირებული ბიტუმი		
2	100%	9%	3 %	12%	0,3	2%
			4 %			
			4,5 %			
			5 %			

ლაბორატორიული კვლევა #3.

ნარევი 3 შემთხვევაშიც ცდები ჩატარდა ანალოგიურად. ამჯერად ნარევი გამოყენებულია ჰიდრავლიკური შემკვრელი დოროპორტი. ნარევი შეკვრა დაიწყო დოროსოლის ანალოგიურად 3%-დან და 5%-ის შემდეგ დაიწყო გამციფება.

ნარევი 3-ის შემადგენლობა.

ცხრილი 4.

ნარევი	ღორღი	წყალი	დოროპორტი	SBS	ბოჭკო	ლათექსის დანამატი
				მოდIFIცირებული ბიტუმი		
3	100%	9%	3 %	12%	0,3	2%
			4 %			
			4,5 %			
			5 %			

ლაბორატორიული კვლევა #4.

ნარევი 4 დამზადდა იგივე პროცენტული რაოდენობით, რაც წინა 3 ნარევი იყო გამოყენებული. ამჯერად შემკვრელად გამოყენებულია კირი. ნარევმა შეკვრა დაიწყო 1%-დან და 3%-ის შემდეგ დაიწყო გამყიფება.

ნარევი 4-ის შემადგენლობა.

ცხრილი 5.

ნარევი	ლორღი	წყალი	კირი	SBS მოდიფიცირებული ბიტუმი	ბოჭკო	ლათექსის დანამატი
	4	100%	9%	1 % 2 % 2,5 % 3 %	12%	0,3

ნარევების ფორმირება მთავრდება მაშინ, როდესაც ხელთათმანი აღარ მიიკრავს ბიტუმს და სრულიად სუფთა დარჩება ნარევის ბურთულების მომზადებისას.



ნახ.38. „სლარი სილის“ ნიმუშების დამზადება-დაყალიბების პროცესი

ა) ნიმუშის დამზადების საწყისი პროცესი ბ) დაყალიბების პროცესი




ნახ.39. ნიმუშის მომზადების პროცესი

ა) ბიტუმის მიკვრისას (არაფორმირებული) ბ) ფორმირებული ნარევი


2.4. ასფალტბეტონის ცვეთასა და შეჭიდულობაზე კვლევის მექანიზმი ლაბორატორიულ პირობებში

ნიმუშები დამზადების შემდეგ გამოიცადა ცვეთამდეგობაზე, ჰამბურგის ბორბლის გამოყენებით. დამზადებული ნარევები დაყალიბდა 150 მმ ზომის ყალიბში. ყალიბიდან ამოღების შემდეგ ნიმუშები მოთავსდა წყლის რეზერვუარში, 4 სთ-ის განმავლობაში. წყლიდან ამოღების შემდეგ ნიმუში მოთავსდა ჰამბურგის აპარატში და გამოიცადა სველ ცვეთაზე (წყლის ტემპერატურა 60°C) 20 000 გავლაზე, სტანდარტის EN 12697-22 მიხედვით.


ნიმუშების მიხედვით ცვეთის მაჩვენებლის დამოკიდებულება მიცემულია გრაფიკების სახით.




ნახ.40. ცემენტით დამზადებული ნარევის გამოცდა ჰამბურგის ბორბალზე



ნახ.41. დოროსოლით დამზადებული ნარევის გამოცდა ჰამბურგის ბორბალზე



ნახ.42. დოროპორტით დამზადებული ნარევის გამოცდა ჰამბურგის ბორბალზე




ნახ.43. კირით დამზადებული ნარევის გამოცდა ჰამბურგის ბორბალზე



ნახ.44. დამზადებული ნიმუშები ჰამბურგის ბორბალზე გამოცდამდე

ლაბორატორიაში დამზადებულ ნიმუშებთან ერთად შედარების მიზნით გამოიცადა არსებული ასფალტის საფარიდან ამოჭრილი კერნი, რომლის ცვეთამაც შეადგინა 4,12 მმ. საერთო შედარებითი მაჩვენებლები მოცემულია გრაფიკის სახით.



- ასფალტიდან ამოჭრილი
- ◆— ნარევი #1, ცემენტით
- ნარევი #2, დოროსლოლით
- ნარევი #3, დოროპორტით
- ▲— ნარევი #4, კირით

ნახ.45. ნარევების საერთო მახასიათებლების შედარება



ნახ.46. ცდების ამსახველი ფოტომასალა

ა) ნიმუშის დამზადება გირატორზე ბ) ნიმუშის მოთავსება ჰამბურგის

დანადგარში



ნახ.47. ჰამბურგის დანადგარზე გამოცდილი ნიმუშები

სრიალის კოეფიციენტი - ეს არის ავტომობილის ბორბლის მოქმედების გამოხატულება ცურვისას. მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საავტომობილო მოძრაობის დინამიკათა სფეროში, რადგან ის საშუალებას გვაძლევს გავიგოთ დამოკიდებულება საბურავის დეფორმაციასა და მასზე მოქმედ ძალებს შორის (ამაჩქარებელი და დამამუხრუჭებელი ძალები).

კოეფიციენტი გამოითვლება ფორმულით

$$\text{სრიალის კოეფიციენტი \%} = \left(\frac{\Omega R_c}{V} - 1 \right) * 100\%$$

სადაც,

Ω - საბურავის კუთხური სიჩქარეა


R_c - საბურავის თავისუფალი სვლის ეფექტური რადიუსი

V - სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობის სიჩქარე

სრიალის მიმართ საფარის მდგრადობა უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია საფარებისათვის, ამიტომ ჰამბურგის ბორბალთან ერთად ნიმუშები ლაბორატორიულ პირობებში გამოიცადა შეჭიდულობაზე, Wessex-ის ქანქარის გამოყენებით, სტანდარტ EN 13036-4 მიხედვით, რომლის მიხედვითაც კოეფიციენტი დგინდება საფარის ზედაპირზე სველ მდგომარეობაში.

ცდა ჩატარდა არსებული საფარიდან ამოჭრილ ნიმუშზე, შემდეგ იგივე ნიმუშზე ჰამბურგის ბორბალზე ჩატარებული ცდის შემდეგ (უკვე გაცვეთილ მდგომარეობაში), ნიმუშზე გირატორის დახმარებით დავტკეპნეთ საუკეთესო

მაჩვენებლების მქონე 2 ნარევი - ცემენტისა და კირის დანამატით და გამოიცადა შეჭიდულობაზე. მაჩვენებლები მოცემულია გრაფიკის სახით.



ნახ.48. შეჭიდულობის მაჩვენებლების შედარება


- 1 – არსებული საფარიდან ამოჭრილი კერნი
- 2 - ამოჭრილი კერნი ცვეთაზე გამოცდის შემდგომ
- 3 - ამოჭრილ კერნზე დატანილი “სლარი სილის” ფენა ცემენტით (ნარევი #1)
- 4 - ამოჭრილ კერნზე დატანილი “სლარი სილის” ფენა კირით (ნარევი #4)



ნახ.49. Wessex-ის ხელსაწყო ჩაჭიდების კოეფიციენტის განსაზღვრისათვის

ჩაჭიდების კოეფიციენტის განსაზღვრის შემდეგ ავტომატიზირებული პროგრამის დახმარებით შედარდა ავტომობილების სამუხრუჭე მანძილების


მნიშვნელობები, სხვადასხვა კლიმატური პირობებისათვის 60 და 80 კმ/სთ სიჩქარეზე.




ნახ.50. სამუხრუჭე მანძილების შედარება სხვადასხვა გარემო პირობებში

“სლარი სილის” გამოყენება საკმაოდ ამაღლებს შეჭიდულობის მაჩვენებელს და უზრუნველყოფს უსაფრთხო გადაადგილებას.

გარდა სველ მდგომარეობაში გამოცდისა, ლაბორატორიულ პირობებში ნიმუში შეჭიდულობაზე გამოიცადა კიდევ ერთ გარემოებაზე - სხვადასხვა ტემპერატურაზე. აღნიშნული პარამეტრი გვაძლევს საშუალებას, თვალსაჩინოდ დავინახოთ “სლარი სილის” გამოყენების უპირატესობა აეროდრომების საფარების შეკეთებისათვის. თვითმფრინავების აფრენა-დაფრენისას გამოყოფილი ცხელი ჰაერი უარყოფითად მოქმედებს ასფალტის საფარზე და იწვევს მის მწყობრიდან გამოსვლას საანგარიშო ვადაზე ადრე, რაც თავის მხრივ აისახება ჩაჭიდების კოეფიციენტზე. “სლარი სილით” ფენილის მოწყობისას კი ეს მაჩვენებელი საგანგაშოდ არ მცირდება. ნიმუშები გამოცდილია 0°C (საფარიდან ალებულ მდგომარეობაში) 20°C, 40°C და 60°C ტემპერატურებზე.



ნახ. 51. ჩაჭიდების შედეგები ტემპერატურულ დიაპაზონში ა/ზ-ის საფარისათვის



ნახ. 52. ჩაჭიდების შედეგები ტემპერატურულ დიაპაზონში „სლარი სილის“ შემთხვევაში

2.5. სლარი სილის ნარეგების სამუშაო სისქის განსაზღვრა საექსპლუატაციო ვადების მიხედვით

“სლარი სილის” საცვეთი ფენის ანგარიშისას აუცილებელია მისი მახასიათებლები განისაზღვროს ასფალტბეტონის ძირითადი ფენილების სამსახურის ვადების ანალოგიურად. “სლარი სილის” საცვეთი ფენის სავარაუდო სისქე იანგარიშება ქვემოთ მოცემული მეთოდით, BCH 41-88-ში მოყვანილი ფორმულის გამოყენებით.

იმისათვის, რომ საცვეთი ფენა “სლარი სილი” ასფალტბეტონის საფარის საცვეთი ფენის თანაბარზომიერად განვსაზღვროთ და ზუსტი შედეგი მივიღოთ, აუცილებელია ფორმულის საშუალებით სისქე h მიღებულ იქნას შემდეგნაირად:

$$h = aT + \frac{bN_q}{1000} * \frac{(kq_1)^T - 1}{kq_1 - 1}$$

სადაც,

a - პარამეტრია, რომელიც დამოკიდებულია საფარის ამინდმედეგობაზე და კლიმატურ პირობებზე (აღნიშნული პარამეტრები მოცემულია ცხრილში 1);

b - მაჩვენებელი, რომელიც დამოკიდებულია საფარის ამინდმედეგობაზე (ანალოგიურად);

N_1 - მოძრაობის ინტენსივობა წელიწადში, ავტ./დღე-ღამე;

K - $1,05 \pm 1,07$ კოეფიციენტი, დამოკიდებული მოძრაობის შემადგენლობის ცვლილებაზე;

q_1 - მოძრაობის წლიური ზრდის მაჩვენებელი.

საანგარიშო წლების რაოდენობა აიღება რემონტთაშორისი წლების ტოლი, ხოლო პარამეტრები BCH 41-88-ში მოცემული ცხრილის მიხედვით.

საანგარიშო პარამეტრების მნიშვნელობები.

ცხრილი 6.

	a , მმ	b, მმ/მლნ.ტ. ზრ	h₀
ა/ბ ღორღოვანი და ხრეშოვანი , დამუშავებული ორგანული შემკვრელით	0,4-0,6	0,25-0,55	10
ორმაგი დამუშავებით	1,3-2,7	3,5-5,5	25
ერთმაგი დამუშავებით	1,4-2,8	4,0-6,0	12

ცხრილიდან საქართველოს პირობებისათვის (IV საგზაო -კლიმატური ზონა) a და b მნიშვნელობები აიღება დაბალი ზღვრებით.

იმ შემთხვევაში, თუ სავალი ნაწილის სიგანე აღემატება 7 მ-ს, b -ს მნიშვნელობა უნდა შემცირდეს 15% -ით, ხოლო თუ 6 მ-ზე ნაკლებია, უნდა გაიზარდოს 15%-ით.

გაანგარიშება ვაწარმოოთ ასფალტის საფარიანი გზების ორი ტიპისათვის:

- II კატეგორია - ინტენსივობით 5000 ავტ./დღე-ღამეში, სავალი ნაწილის სიგანით 9,0 მ;
- III კატეგორია- ინტენსივობით 3000 ავტ./დღე-ღამეში, სავალი ნაწილის სიგანით 6,0 მ;

საფარის სამსახურის ვადად კაპიტალურ რემონტებს შორის მიღებულია 10 წელი, ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტის BCH 46-83 თანახმად.

ანგარიში №1

II კატეგორიის გზებისათვის, სადაც გზის სიგანე 7 მ-ზე მეტია, პარამეტრი b-ს მნიშვნელობა უნდა შემცირდეს 15%-ით. ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$h = aT + \frac{bN_q}{1000} * \frac{(kq_1)^T - 1}{kq_1 - 1} = 0.4 * 10 + \frac{0.22 * 5000}{1000} * \frac{(1.05 * 1.04)^{10} - 1}{1.05 * 1.04 - 1} = 17.3 \text{ მმ}$$

“სლარი სილის” გამოყენებისას საფარის საცვეთ ფენად 10 წლიანი საექსპლუატაციო ვადის შემთხვევაში საჭირო სისქე შეადგენს 17,3 მმ-ს.

ანგარიში №2

III კატეგორიის გზებისათვის, სადაც გზის სიგანე 6 მ-ია, პარამეტრი b აიღება უცვლელად. ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს :

$$h = aT + \frac{bN_q}{1000} * \frac{(kq_1)^T - 1}{kq_1 - 1} = 0.4 * 10 + \frac{0.25 * 3000}{1000} * \frac{(1.05 * 1.04)^{10} - 1}{1.05 * 1.04 - 1} = 15.5 \text{ მმ}$$

“სლარი სილის” გამოყენებისას საფარის საცვეთ ფენად 10 წლიანი საექსპლუატაციო ვადის შემთხვევაში საჭირო სისქე შეადგენს 15,5 მმ-ს.

საქართველოს მასშტაბით მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, ზედაპირული შეკეთების ვადებს შორის დროდ მიღებულია 2 წელი ერთმაგი და 3 წელი ორმაგი ზედაპირული დამუშავებისთვის. ზედაპირული დამუშავების სისქე შეადგენს : ერთმაგი - 2 სმ, ორმაგი - 4 სმ. “სლარი სილის” ნაანგარიშები სისქის მიხედვით მოწყობისას კი ეს ვადა 10 წელს შეადგენს. ამის გარდა, სლარი ტიპის საფარის გამოყენებას უპირატესობა აქვს ისიც, რომ ის არამარტო იცავს ზედაპირს

გარემო ფაქტორების ზემოქმედებისაგან და ზრდის საექსპლუატაციო ვადებს, არამედ ეფექტურია არსებულ ზედაპირზე წარმოქმნილი ბზარებისა და ნაპრალების სალიკვიდაციოდაც.

წარმოდგენილი ფორმულები საშუალებას იძლევა ტრადიციული ზედაპირული დამუშავების ნაცვლად გამოვიყენოთ “სლარი სილის” ტიპის ნარევები, რითაც მნიშვნელოვნად შემცირდება ფინანსური ხარჯები და ამავდროულად გაიზრდება საფარის სამსახურის ვადა [18].

ქვეყანაში არსებული საგზაო ქსელის ზრდისა და მასზე მოძრავი შემადგენლობების მატების ტენდენციის გათვალისწინებით არსებული საგზაო სამოსი უფრო და უფრო სწრაფად გამოდის მწყობრიდან და საჭიროებს ხშირ შეკეთებას. კაპიტალური რემონტის ვადებისა და ხარჯების გათვალისწინებით საჭირო ხდება ასფალტისა და ბეტონის საფარის პერიოდული დამუშავება ზედაპირის შესაკეთებლად. ტრადიციული ზედაპირული დამუშავება 1-2 წლის ვადის გასვლის შემდეგ საჭიროებს ხელახალ შეკეთებას, რაც 10 წლიანი სამსახურის შემთხვევაში შეადგენს 5-ჯერ დამუშავებას მაინც, მაშინ როდესაც “სლარი სილით” ორი დამუშავება საკმარისია იგივე სამუშაოს შესასრულებლად;

ტექნოლოგიური ანალიზის შედეგად უნდა აღინიშნოს, რომ შემოთავაზებული პროცესი სრულიად უბრალოა. ერთი ერთეული “სლარი სილის” დამგებით (ე.წ. „ფინიშერი“) სრულიად უდანაკარგოდ შეგვიძლია შევასრულოთ ძირითადი სამშენებლო სამუშაოები. ნარევის გაშლის შემდეგ კი რეზინის ბორბლებიანი სატკეპნის გამოყენებით დავასრულოთ ფენის დატკეპნა და ნარევის ფორმირება.

ამასთან ერთად, გამომდინარე იქიდან, რომ ტრადიციული წესით მოწყობილი ზედაპირული დამუშავება გამოირჩევა არასაიმედო მდგრადობით მოწყობიდან რამოდენიმე დღის განმავლობაში, კერძოდ - თუ ატმოსფერული ტემპერატურა არ აჭარბებს 30°C-ს და არის საშიშროება იმისა, რომ მოვიდეს ატმოსფერული ნალექები, კავშირი ღორღისა და საფარის ზედაპირზე დატანილი შემკვრელის შემთხვევაში არასტაბილური იქნება, რაც გამოიწვევს ზედაპირის გაშიშვლებას ღორღის ნაწილაკებისაგან. ჩვენს შემთხვევაში კი მიიღება ერთგვაროვანი საფარი, რომელიც შესაძლებელია დაიგოს 10°C ტემპერატურაზე და ფაქტობრივად სრულად გამოირიცხავს ზედაპირიდან მარცვლების ამოფხვნას. ზედაპირული დამუშავების დროს მარცვლები არის ფორიანი და გამოირჩევა დიდი წყალშთანთქმის უნარით,

“სლარი სილის” გამოყენების შემთხვევაში სრულყოფილად ხდება ღორდის მარცვლებზე შემკვრელის თხელი აფსკოვანი ფენის წარმოქმნა, რომელიც შესაბამისად ავსებს ფორებს და მასალა ხდება ჰიდროფობური.

ამ ტექნოლოგიით საფარის მოწყობისას ამაღლებულია გზის ხორკლიანობის მაჩვენებელი, რაც უზრუნველყოფს ავტომობილის ფარიდან წამოსული სინათლის თანაბრად გაბნევას ზედაპირზე, რაც გამორიცხავს მძღოლის „დაბრმავებას“.

2.6. “სლარი სილის” ნარევით აღდგენილი საფარის მაჩვენებლების შედარება ტრადიციული ტიპის ზედაპირულ დამუშავებასთან

ჩვენს მიერ გაანგარიშებულია სხვადასხვა ტიპის ფენილების მოწყობის შემდეგ მიღებული საფარის მაჩვენებლები. მახასიათებლების შედარებისათვის 3 ტიპის საგზაო სამოსი გაანგარიშებულია ПНСТ 542-2021 მიხედვით, მასში მოცემული საანგარიშო ფორმულების გამოყენებით. საწყისი საანგარიშო მონაცემები სამივე ტიპის სამოსისათვის ერთნაირია.

საწყისი საანგარიშო მონაცემები:

- საგზაო-კლიმატური ზონა - IV
- დატენიანების სქემა: 1 სქემა (ზედაპირული წყლები)
- პროექტირების რაიონი - საქართველო
- ავტომობილების დაყვანილი საანგარიშო ინტენსივობა - 3000 ავტ.

დღე/ღამეში

- საანგარიშო სამსახურის ვადა - 10 წელი
- სამომხრად ზოლების რაოდენობა - 2 ზოლი
- საანგარიშო დღეების რაოდენობა - 205
- ინტენსიურობის ზრდის მაჩვენებელი - 1,04
- საანგარიშო დატვირთვის ჯგუფი A10
- საბურავში წნევა p, მპა; 0,8
- თვლის ანაბეჭდის დიამეტრი $D_{დინ.}$, სმ; 37,1
- სტატიკური დატვირთვა საბურავისგან საფარის ზედაპირზე $Q_{დ.}$, კნ; 50,0

გრუნტის საანგარიშო ტენიანობა (პირობითად)

$$W_p = (W_{ცხრ.} + \Delta_1 W - \Delta_2 W) * (1 + 0.1 * t) - \Delta_3 = (0.6 + 0 + 0 - 0) * (1 + 0.1 * 1.71) - 0 = 0.7$$

გრუნტის ტკეპნის კოეფიციენტი - 0,97

ყრილის სიმაღლე - 0,00 მ

დასაშვები საანგარიშო დატვირთვის ჯამური რიცხვი

კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ჯამური მოძრაობიდან შესაძლო გადახრას kn; 1.49

დაჯამების კოეფიციენტი

$$K_c = \frac{q^T - 1}{q - 1} = \frac{1.04^{10} - 1}{1.04 - 1} \approx 12.01$$

$$N_p = f_{sr} \times \sum_{m=1}^n N_m \times S_{m_{ჯამ}} = f_{sr} \times \sum_{m=1}^n N_{1m} \times S_{m_{ჯამ}} \times (q^{T-1})$$
$$= 0.55 \times 3000 \times (1.04^{10-1}) \approx 2348 \text{ ერთ. დღე/ღამეში}$$

ჯამური დასაშვები საანგარიშო დატვირთვების რიცხვი კაპიტალურ რემონტებს შორის


$$\sum N_p = 0.7 * f_{სფ} * N_1 * K_{ჯ} * T_{სდწ} * k_n = 0.7 * 0.55 * 3000 * 12.01 * 205 * 1.49$$
$$= 4237064,9 \text{ ერთ.}$$

საჭირო დრეკადობის მოდული

$$E_{საჭ} = \sqrt{\frac{P}{0.6}} * 98.65 * (\lg 4237064,9 - 3.55) \approx 350,51 \text{ მპა}$$

საჭირო დრეკადობის მოდული $E_{საჭ} = 350,51 \text{ მპა}$

ვარიანტი #1.



1. საფარის საცვეთი ფენა 3 სმ ღორღოვან-მასტიკური ასფალტით
2. საფარის ზედა ფენა - წვრილმარცვლოვანი ასფალტბეტონი, სისქით 5 სმ
3. საფარის ქვედა ფენა - მსხვილმარცვლოვანი ასფალტბეტონი, სისქით 8 სმ
4. საფუძვლის ზედა ფენა - მსხვილმარცვლოვანი ასფალტბეტონი, სისქით 8 სმ
5. საფუძვლის ფენა - ქვიშა-ღორღი, ფრაქციით 0-40 მმ, სისქით 20 სმ
6. ქვესაგები ფენა - ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი, 0-120 მმ, სისქით 20 სმ

ნახ. 53. N1 ვარიანტში გამოყენებული სამოსის კონსტრუქცია

განგარიშება დრეკად ჩალუნვაზე

დასაშვებ დრეკად ჩალუნვაზე ანგარიშს ვაწარმოებთ ფენებად, ვიწყებთ ვაკისიდან.

$$\frac{E_{ქვ}}{E_6} = \frac{E_6}{E_5} = \frac{59.74}{240} = 0,2489; \quad \frac{h_6}{D} = \frac{h_5}{D} = \frac{20}{37.1} = 0.5391; \quad \frac{E_{6ედ}}{E_6} = \frac{E_{6ედ}^4}{E_5^4} \approx 0.43361$$

$$E_{6ედ}^4 = 0,43361 * 240 = 104.07 \text{ მპა}$$

$$\frac{E_{ქვ}}{E_6} = \frac{E_5}{E_4} = \frac{104.07}{260} = 0,4003; \quad \frac{h_6}{D} = \frac{h_4}{D} = \frac{20}{37.1} = 0.5391; \quad \frac{E_{6ედ}}{E_6} = \frac{E_{6ედ}^3}{E_4^3} \approx 0.58721$$

$$E_{6ედ}^3 = 0.58721 * 2600 = 152.67 \text{ მპა}$$

$$\frac{E_{ქვ}}{E_6} = \frac{E_4}{E_3} = \frac{152.67}{3700} = 0,0413; \quad \frac{h_6}{D} = \frac{h_3}{D} = \frac{8}{37.1} = 0.2156; \quad \frac{E_{6ედ}}{E_6} = \frac{E_{6ედ}^2}{E_3^2} \approx 0.06668$$

$$E_{6ედ}^2 = 0,06668 * 3700 = 246,72 \text{ მპა}$$

$$\frac{E_{ქვ}}{E_6} = \frac{E_3}{E_2} = \frac{246.72}{4800} = 0,0514; \quad \frac{h_6}{D} = \frac{h_2}{D} = \frac{8}{37.1} = 0.2156; \quad \frac{E_{6ედ}}{E_6} = \frac{E_{6ედ}^1}{E_2^1} \approx 0.07976$$

$$E_{\text{ფედ}}^1 = 0,07976 * 4800 = 382,85 \text{ მპა}$$

$$\frac{E_{\text{ქვ}}}{E_{\text{ფ}}} = \frac{E_2}{1} = \frac{541,87}{4150} = 0,0923; \frac{h_{\text{ფ}}}{D} = \frac{h_1}{D} = \frac{3,5}{37,1} = 0,0943; \frac{E_{\text{ფედ}}}{E_{\text{ფ}}} = \frac{E_{\text{ფედ}}^0}{E_1} \approx 0,10307$$

$$E_{\text{ფედ}}^0 = 0,10307 * 4150 = 427,74 \text{ მპა}$$

$$K_{\text{საანგ}} = \frac{E_{\text{ფედ}}}{E_{\text{საქ}}} = \frac{427,74}{350,71} = 1,22; \frac{K_{\text{საანგ}} - K_{\text{საქ}}}{K_{\text{საქ}}} * 100\% = \frac{1,22 - 1,2}{1,2} * 100\% = 1,67\%$$

დასაშვები დრეკადი ჩალუნვის კრიტერიუმი მიღწეულია.

განგარიშება ძვრამდეგობაზე

ზედა ფენების გასაშუალებული დრეკადობის მოდული

$$E_{\text{ფ}} = \frac{\sum_{i=1}^5 E_i * h_i}{\sum_{i=1}^5 h_i} = \frac{650 * 3,5 + 900 * 8 + 750 * 8 + 260 * 20 + 240 * 20}{3,5 + 8 + 8 + 20 + 20} = 428,2 \text{ მპა}$$

ერთეული ხვედრითი აქტიური ძაბვა ერთეული დატვირთვებისგან

$$\frac{E_{\text{ფ}}}{E_{\text{საერთ.}}} = \frac{428,2}{59,7} = 10,59; \frac{h_{\text{ფ}}}{D} = \frac{59,5}{37,1} = 1,6; \tau_{\text{ფ}} \approx 0,01999 \text{ მპა}$$

ძვრის აქტიური ძაბვა

$$T = \tau_{\text{ფ}} * p = 0,01999 * 0,8 = 0,01599 \text{ მპა}$$

კოეფიციენტი $k_d = 1$

შესამოწმებელი ზედაპირის ჩალრმავება კონსტრუქციის თავიდან

